ხაშურის მოამბე

№47 (78) 30 ნოემბერი, ოთხშაბათი, 2016 წელი

სიმონ ნ ოზაძე: მუნიციპალიტეტის გამგებელი, საკრებულოს თავმჯდომარე და მაჟორიტარი დეპუტატი თანამოაზრეები უნდა იყვნენ, ერთი მიმართულებით უნდა იარონ...

ვნებათაღელვა, რომელიც საპარლამენტო არჩევნებს ახლდა, დღესაც არ განელებულა. მითუმეტეს იმ მუნიციპალიტეტებში, სადაც მეორე ტური გაიმართა. როგორც აღმოჩნდა, ხაშურის მუნიციპალიტეტმა დემოკრატიული არჩევნების სამაგალითო შედეგი აჩვენა-პარლამენტში ჩვენი დეპუტატი, პარტია „მრეწველების“ კანდიდატი, სიმონ ნოზაძე იქნება. ამომრჩეველი, რომელმაც დიდი ნდობა გამოუცხადა ბატონ სიმონს, მოუთმენლად ელის მასთან შეხვედრას და ნაკისრი ვალდებულების შესრულებას. ყურადღებით ადევნებენ თვალს მის აქტიურობას საპარლამენტო დებატებში. “ხაშურის მოამბის” და ბატონი სიმონის, როგორც უკვე პარლამენტის დეპუტატის, პირველი შეხვედრისას, გადავწყვიტეთ, ჯერ მხოლოდ ზოგად თემებზე გვესაუბრა, ხოლო კონკრეტული საქმეების შესახებ საუბარი სამომავლოდ, რეალური შედეგების ჩვენების შემდეგ გადავდეთ.

-ბატონო სიმონ, პირველ რიგში ღირსეულ გამარჯვებას გილოცავთ. გვჯერა, თქვენი საქმიანობა ისეთივე წარმატებული იქნება, როგორი წინასაარჩევნო კამპანია იყო. როგორც ვიცი, საპარლამენტო არჩევნებში მეორედ იღებდით მონაწილეობას. რამ გამოიწვია თქენი სურვილი?

– ჩემი სურვილი იყო, ჩემს რაიონს გვერდით დავდგომოდი. არ მომწონდა ის სიტუაცია, რომელიც ხაშურში იყო, ვთვლიდი, რომ ბევრი რამე იყო გასაკეთებელი და შესაცვლელი, ამის სურვილით მოვედი. არ მქონდა დასაქმების საჭიროება, არც მაღალი სტატუსის შეძენის ამბიცია, რადგან მანამდეც საკმაოდ მაღალი თანამდებობა მეკავა – მოქმედი გენერალი ვიყავი. ჩემი სურვილი, დავეხმარო ჩემს მუნიციპალიტეტს, ნამდვილად გულწრფელია. ამომრჩევლებთან შეხვედრის დროს ვიგრძენი, რომ მათ ნდობა და მხარდაჭრის იმედი ჰქონდათ ჩემგან. გადაწყვეტილება სპონტანურად არ მიმიღია, დაახლოებით ორი წლის წინ, ჩემი სურვილი გავუმხილე ჩემს ახლობლებს, თანამოაზრეებს. ერთი წლით ადრე, ხმამაღლაც განვაცხადე კენჭისყრის შესახებ. რადგან ხალხის განწყობას და დამოკიდებულებას უკვე ვიცნობდი, დარწმუნებულიც კი ვიყავი ჩემს გამარჯვებაში-ვიცოდი ჩემი ძლიერი მხარეები, რაიონის პრობლემები, საჭიროებები-ამ ყველაფერმა მომიტანა გამარჯვება.

-რა იყო თქვენი უპირატესობა, რამაც გამარჯვებამდე მიგიყვანათ? დამეთანხმებით, საკმაოდ ძლერი კონკურენტი გყავდათ...

–აქ რამდენიმე ფაქტორმა იმუშავა, ყველაზე დიდი როლი გამარჯვებაში, ჩემს მიერ წარსულში ნაკეთებმა საქმეებმა შეასრულა. მას შემდეგ, რაც 25 წლის წინ სამსახურეობრივად დავწინაურდი, მე ჩემი რაიონი არ მიმიტოვებია, მაქსიმალურად ვცდილობდი, მხარში ამოვდგომოდი, განსაკუთრებით ახალგაზრდობას. ახლა სიამაყითაც შემიძლია აღვნიშნო, რომ ძალიან ბევრი ახალგაზრდა დავასაქმე სახელისუფლებო სტრუქტურებში, მათი სპეციალიზების მიხედვით. ჩემი პენსიაში გასვლის შემდეგ, 2000-იანი წლების დასაწყისში, კერძო ფირმა დავაარსე, 1000-ზე მეტი ახალგაზრდა დავასაქმე ბაქო-ჯეიჰანის მილსადენის დაცვაში და მაშინდელმა, არც თუ მაღალმა, ხელფასმა, ბევრ ოჯახს მატერიალური შემოსავლის წყარო გაუჩინა. ეს ყველაფერი ამომრჩევლის მეხსიერებაში

(დასასრული II გვერდზე)

კულტურის სასახლე ახალ სიცოცხლეს დაიწყებს

ხაშურის საქალაქო კულტურის სახლის (ყოფილი რკინიგზის კლუბი) სარეაბილიტაციო სამუშაოები გრძელდება. მუნიციპალიტეტში კულტურული ცხოვრების ხელშეწყობისთვის ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობამ კულტურის სახლის რეაბილიტაცია პრიორიტეტად დაისახა. არსებული შენობა ათწლეულები არ გარემონტებულა. რეაბილიტაციის ფარგლებში ამჯერად შიდა სამუშაოები მიმდინარეობს. კერძოდ, გამოიცვალა კარ-ფანჯარა, შენობაში შესასვლელი ჭერი, მუშავდება და იღებება კედლები, მოპირკეთდება კიბის საფეხურები, კეთილმოეწყობა პანდუსი. შენობაში ასევე მიმდინარეობს ელექტროტექნიკური სამუშაოები. მოეწყო სველი წერტილები. შეკეთდება შენობის სახურავი, მოეწყობა გარე განათება.

პროექტის ფარგლებში დაგეგმილია შენობაში გათბობის, კონდიცირების და ვენტილაციის სისტემების დამონტაჟებაც. სამუშაოების შესრულებისთვის მუნიციპალიტეტის გამგეობამ 214 999 ლარი გამოყო. აღნიშნული პროექტი 2016 წლის ბოლომდე დასრულდება.



განახლდა, გალამაზდა...

დასასრულს უახლოვდება ხაშურში, რუსთაველის ქუჩაზე, მდებარე ომში დაღუპულთა მემორიალის რეაბილიტაცია. სამუშაოებისთვის 47 197 ლარი გამოიყო. პროექტის ფარგლებში მოეწყო გამწვანების ზოლი, დაიგო ქვაფენილი, დამონტაჟდა დასასვენებელი სკამები, სანაგვე ურნები, დაგეგმილია ლამპიონების მონტაჟი.

სიმონ ნ ოზაძე: მუნიციპალიტეტის გამგებელი, საკრებულოს თავმჯდომარე და მაჟორიტარი დეპუტატი თანამოაზრეები უნდა იყვნენ, ერთი მიმართულებით უნდა იარონ...

(დასასრული)

იყო და ნდობა გაუჩნდა მოსახლეობას. აგრეთვე, წინასაარჩევნო დაპირებები, რომელიც საკმაოდ ფართხილი იყო ჩემი მხრიდან. არ ვპირდებოდი, რომ ჩემი მოსვლის შემთხვევაში, ყველა პრობლემას ერთიანად მოვაგვარებდი-ერთი ადამიანისთვის ეს შეუძლებელიც კია. მე, როგორც ხაშურის რჩეულს, რომელსაც ამომრჩეველმა ნდობა გამომიცხადა, მინდა სათავეში ჩავუდგე ამ ყველაფერს, – ხალხმა აკეთოს საქმე ჩემი



დახმარებით. ეს იქნება დიდი თუ პატარა პრობლემის მოგვარება. არის ისეთი პირველი რიგის საქმეები, როგორიცაა სოციალური თემები, ინფრასტრუქტურული პრობლემები, გაზიფიცირება,საკანალიზაციო სისტემები. ეს ლოკალურად, ხოლო არის ისეთი პრობლემები, რომლებსაც ტრიბუნიდანაც გავახმოვანებ. სურვილი მაქვს, ადგილობრივ ხელისუფლებასთან ერთად, რაიონის განვითარების მრავალწლიანი გეგმა შევიმუშაოთ. ეს იქნება სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული გეგმა. ცალკეა სურამის საკურორტო-ტურისტული პოტენციალის განვითარების გეგმა. ამ ყველაფერზე რამდენიმე შეხვედრა უკვე მქონდა ადგილობრივ ხელისუფლებასთან, რომელიც მომავალშიც გაგრძელდება. რისი შესაძლებლობაც მექნება, მე, როგორც დეპუტატი, აქტიურად ჩავერთვები ყველა პროცესში.

-დამეთანხმებით, დიდია მოსახლეობის მოლოდინი. დღეს, როგორც მოქმედი დეპუტატი, შეგიძლიათ გვითხრათ, როგორი იქნება თქვენი ოთხწლიანი მუშაობა?

–მოლოდინი პირველ რიგში არის ის, რომ მე, როგორც დეპუტატი, შევდგები. დავპირდი მოსახლეობას, რომ ვიქნები ისეთი დეპუტატი, რომელიც პარლამენტის წევრის მაღალ სტატუსს არ შეარცხვენს, აქტიურად ჩავერთვები როგორც საშინაო, ასევე საგარეო პოლიტიკური კურსის განსაზღვრაში, ვიქნები კანონმორჩილი დეპუტატი, ჩემს აზრს და დამოკიდებულებებს დავაფიქსირებ ღიად და ცივილურად, კომფლიქტების გარეშე, ეს რაც შეეხება ჩემს საპარლამეტო საქმიანობას. ხოლო რაც შეეხება მუნიციპალიტეტს და მის მოსახლეობას, ბუნებრივია, ჩავერევი რაიონის საკეთილდღეოდ, რომ ყველა ის დანაპირები და ნაკისრი ვალდებულება შევასრულო, რომელიც მე ჩემი ამომრჩევლის წინაშე მაქვს. დეპუტატის სტატუსი იმდენად მაღალია, რომ მას შესაძლებლობა აქვს, ყველა პრობლემა მიიტანოს ხელისუფლებამდე. მაგალითად, IV სკოლის პრობლემასთან დაკავშირებით, სანამ ჩემს უფლებამოსილებას ცნობდნენ, ერთ-ერთი პირველი ეს გავაკეთეთ, დირექტორის მეშვეობით გავეცანი პრობლემას, დავაკავშირე შესაბამისს სამსახურებს, ავუხსენით მდგომარეობა და როდესაც დარწმუნდნენ სიტუაციის სერიოზულობაში, ეს პრობლემა ნაწილობრივ მოგვარებულია დღეს.

-თუ გაქვთ უკვე შემუშავებული მუნიციპალიტეტში არსებული კონკრეტული პრობლემების მოგვარების სტრატეგიული გეგმა?

–მე, როგორც დეპუტატობის კანდიდატს, მქონდა ამ საკითხებზე ჩემი შეხედულება, მაგრამ გასათვალისწინებელია, ის გარემოება, რომ მე მაშინ სხვა გუნდში ვიყავი და ადგილობრივი ხელისუფლება და ოცნების ადგილობრივი ორგანიზაცია-სხვა გუნდში. ამიტომ, იმის გაცხადება, რომ აქტიური კომუნიკაცია გვქონდა ადგილობრივ ხელისუფლებასთან და ყველა პრობლემის შესახებ ვიცოდი, არ იქნება მართალი. ჩემი დაპირებები ძალაში რჩება. ბატონ ვაჟა შუბითიძესთან და მუნიციპალიტეტის გამგებელ გიორგი გურასპაშვილთან ერთად ვისაუბრებთ ყველა იმ პრობლემებზე, რაც არის უპირველესი, ჩამოვყალიბდებით, აუცილებელია განვითარების კონცეფციებზე შევთანხმდეთ, გადაიდგეს კონკრეტული ნაბიჯები მრეწველობის აღსადგენად, ავამუშაოთ რომელიმე ქარხანა და ვიზრუნოთ დიდი პროექტების განხორციელებაზეც. მოსახლეობასთან შეხვედრის დროს, ბევრი იყო წვრილმანი პრობლემები, ყოველდღიური, საყოფაცხოვრებო. ზოგან სტადიონია დასასუფთავებელი და მოსახლეობა მხოლოდ საკუთარი ძალებით ვერ ახერხებს ამას, ანდა, საკანალიზაციო სისტემა ქმნის პრობლემას, ასეთ საკითხებზეც იქნება მსჯელობა.

- დღეისათვის რას თვლით პირველი რიგის პრობლემად? ხომ არ შეიცვალა თქვენი პრიორიტეტები.

–პრობლემები მართლაც ბევრია ჩვენს მუნიციპალიტეტში, ვიყოთ გულწრფელები და ვაღიაროთ, რომ ბევრი რამეა გასაკეთებელი. რა თქმა უნდა, ყველა პრობლემის შესახებ კარგად ვიცოდი, მაგრამ ადგილობრივ ხელისუფლებასთან არ მქონდა ისეთი კონტაქტი, რომ ყველაფერზე ერთად ჩამოვყალიბებულიყავით. მე რამდენიმე ჩემს გამოსვლაში აღვნიშნე, რომ გამგებელი, საკრებულოს თავმჯდომარე და მაჟორიტარი დეპუტატი თანამოაზრეები უნდა იყვნენ, ერთი მიმართულებით უნდა იარონ. თავიდან მოგვიწევს იმის გააზრება და იმაზე მსჯელობა, თუ რა რესურსი აქვს მუნიციპალიტეტს, როგორია ბიუჯეტი, რა პრობლემებია და დამატებით, რა შეიძლება კიდევ დეპუტატმა გააკეთოს. ხალხის აზრი რა თქმა უნდა, ვიცი და ჩემი შტაბის წევრებს ეს ყველაფერი დაფიქსირებული აქვთ, მაგრამ მაინც ადგილობრივ ხელძღვანელებთან ერთად, ამ ყველაფერზე ვიფიქრებთ და ვიზრუნებთ, ჩემი შესაძლებლობებიც მოხმარდება ამ პრობლემების დაძლევას, შესაბამისად, ყველა ჩემი დაპირება, დღემდე პრიორიტეტულია.

-ყველაზე დიდ ნაკლად თქვენს წინამორბედს მოსახლეობასთან კომუნიკაციის არქონას უთვლიდნენ. რამდენად ექნება მოსახლეობას თქვენთან კომუნიკაციის შესაძლებლობა?

–წინასაარჩევნოდ ჩემს ამომრჩეველს დავპირდი, რომ მათი დეპუტატიც დადგებოდა ტრიბუნასთან, გამოვა ტელევიზიით და ისაუბრებს მათ პრობლემებზე და ისაუბრებს ისე, რომ მათ არ შერცხვებათ რომ ის კაცი მათი დეპუტატია. მე პირობას უკვე ვასრულებ. მეორე პირობა იმ უბნენში განმეორებითი ვიზიტია, სადაც წინასაარჩევნოდ უკვე ვიყავი, ამჟამად კი მათ დეპუტატის სტატუსით შევხვდები. მე ჩემს პირობას არ ვარღვევ. მახსოვს მათი პრობლემები, რომლის ერთი ხელისმოსმით გადაჭრა წარმოუდგენელია, ერთად ყოფნით შევქმნით ისეთ განწყობას, რომ ზოგ საკითხს ერთად გადავწყვეტთ, ზოგს თვითონაც გააკეთებენ იმედმიცემულები. ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლება როდესაც ერთადაა, როდესაც ერთი პრობლემის მოგვარებისკენ ირაზმება, მეტი გაკეთდება. რაც შეეხება ჩემთან უშუალო კომუნიკაციას, როგორც იცით, სოლიდური საქმე დამაკისრა პარლამენტმა, ფრაქციის თავმჯდომარე ვარ, ის საქმეებიც უნდა ვაკეთო, ვერ გავაცდენ სხდომებს, მაგრამ ვესაუბრე უმრავლესობის ლიდერებს და შევთანხმდით, რომ ამ ეტაპზე ერთი დღე გამოიყოფა კვირაში, რომ შევხვდე მოსახლეობას ადგილზე. მუნიციპალიტეტში კი გამოყოფილი იქნება დღე, საათები და მივიღებ ხალხს, მანამდე კი ბიურო მიიღებს მათ. საჭიროების შემთხვევაში, შემიძლია შაბათ-კვირაც კი დავუთმო მათ.

-დღეისათვის პარლამენტის უმრავლესობის წევრად მოიაზრებით?

–დიახ, უმრავლესობის წევრი ვარ, ფრაქციის თავმჯდომარე და ფრაქცია გაწევრიანდა უმრავლესობაში. ეს ორივე მხარის სურვილი იყო. შევარჩიე დეპუტატები, ის ხალხი, რომლებთან ერთადაც ეკონომიკურ საკითხებზე ვიმუშავებთ და დავეხმარებით პარლამენტს, რომ სწორი გადაწყვეტილებები იქნას მიღებული ქვეყნის ეკონომიკური წინსვლის საკითხებში.

-ბატონო სიმონ, დღეს ასე მცირე დიალოგით შემოვიფარგლოთ. იმედი გვაქვს, თქვენი და ჩვენი გაზეთის მკითხველის კომუნიკაციას არც მომავალში შეექმნება ბარიერი...

–მზად ვარ, ნებისმიერ დროს შეგხვდეთ, რადგან ვფიქრობ, ასეთი შეხვედრები განვლილი პერიოდის ერთგვარი ანგარიშიც კი იქნება ამომრჩევლის წინაშე...

თ. ჯავახიშვილი

მცირე ბიზნესის განვითარების მეშვეობით სოციალური თანამშრომლობა ხაშურის მუნიციპალიტეტში

2015 წლის ივლისიდან ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანა“ ახორციელებს პროექტს "ადგილობრივი მოსახლეობის განვითარების ინიციატივა მცირე ბიზნესის განვითარების ხელშეწყობისათვის დასავლეთის მიმართულების საექსპორტო ნავთობსადენის მარშრუტის აღმოსავლეთ მონაკვეთზე", რომელიც ინიცირებული და დაფინანსებულია საქართველოს მილსადენის კომპანიის მიერ და ხორციელდება დასავლეთის მიმართულების საექსპორტო ნავთობსადენის (ბაქო-სუფსის) მარშრუტის გასწვრივ მიმდებარე სოფლებში. პროექტი მიზნად ისახავს ნავთობსადენის გასწვრივ დასახლებულ თემებსა და BP-ის შორის ჰარმონიული ურთიერთობის გაძლიერებას, ოჯახების კეთილდღეობის გაუმჯობესებისა და ეკონომიური ზრდის ხელშეწყობის გზით. ასევე, პროექტის ფარგლებში დაგეგმილი საქმიანობით გათვალისწინებულია ნავთობსადენის გასწვრივ არსებული სოფლებისათვის ისეთი გარემოს შექმნა, რაც ხელს შეუწყობს მცირე ბიზნესის განვითარებას.

პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია მილსადენის აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე 56 სამიზნე სოფელში და 4 იძულებით გადაადგილებულ პირთა დასახლებაში მცირე ბიზნესის წამოწყების ხელშეწყობა, იძულებით გადაადგილებულ პირთა დასახლებებში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის უნარ-ჩვევების განვითარების ხელშეწყობა და საზაფხულო ბანაკში მათი მონაწილეობა.

პროექტი ხორციელდება გარდაბნის, მცხეთის, კასპის, გორის, ქარელის, ხაშურის, საჩხერის მუნიციპალიტეტებში. ხაშურის მუნიციპალიტეტში პროექტის საქმიანობები ხორციელდება 13 სამიზნე სოფელში: ვაჟა, დიდი ფლევი, პატარა ფლევი, ნაცარგორა, დუმაცხოვი, ახალუბანი, ქინძათი, მცხეთიჯვარი, ქვემო ბროლოსანი, ზემო ბროლოსანი, კლდისწყარო, ტიტვინისწყარო, ჩორჩანა. აღნიშნული სოფლებიდან კონკურსში მონაწილეობა მიიღო 95-მა დაინტერესებულმა პირმა, მათგან ტრენინგი ჩაუტარდა 63 კონკურსანტს, რომელთაგან ბიზნესპროექტი წარმოადგინა 57-მა, აქედან, კონკურსი წარმატებით გაიარა 25-მა პროექტმა, რომელთაც დაფინანსება უკვე მიიღეს და დაიწყეს შესაბამისი საქმიანობა.

გადავწყვიტეთ, უშუალოდ პროექტით მოსარგებლე ბენეფიციარებს ვსტუმრებოდით, ადგილზე გვენახა და გავცნობოდით მათ საქმიანობას. მანამდე კი, "ელკანას" ბიზნესის განვითარების სპეციალისტს და მობილიზატორს, ნინო მძინარაშვილს ვესაუბრეთ, რომელიც დიდი სიყვარულით და ნდობით სარგებლობს მოსახლეობაში. ქალბატონი ნინო დეტალურად გვესაუბრა პროექტის დაწყების, მიმდინარეობისა და პრიორიტეტების შესახებ:

„ჩვენთვის პრიორიტეტი ისეთი ტიპის პროექტებია, რომლებსაც მეტი მოსარგებლე ეყოლება - წისქვილები, კაფეები, სალონები, საცხობები, სამკერვალოები. გასაცემი გრანტის მაქსიმალური თანხა 2000 ლარია; 30%-იან თანადაფინანსების პირობებში, ეს გულისხმობს დაახლებით 600 ლარს; თუმცა, ჩვენ გვაქვს პროექტები, სადაც ბენეფიციარის წილი 50%-ი იყო. პირველ ეტაპზე პროექტი ყველა სოფელში სტანდარტულად იწყება, კერძოდ, ტარდება საინფორმაციო კამპანია, რაც გულისხმობს როგორც საინფორ

(დასასრული V გვერდზე)

პრობლემა, რომლის მოგვარებაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია

ჩვენს მკითხველს, კარგად ახსოვს, გასულ ნომრებში ვწერდით ჩვენს მუნიციპალიტეტში ნაგვის გადამამუშავებელი კომპლექსის მრავალბიუჯეტიანი პროექტის შესაძლო განხორციელებაზე, რომელიც მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენებისაგან გაათავისუფლებდა მუნიციპალიტეტს, შექმნიდა სამუშაო ადგილებს და გაზრდიდა რაიონის ბიუჯეტსაც.

თუმცა, პროექტის გარშემო, თავიდანვე არაერთგვაროვანი აზრი გამოითქვა, ნაწილი საზოგადოებისა მიესალმებოდა საწარმოს შექმნას, მთელი რიგი სიკეთეებისდა გამო, ნაწილს კი არ სურდა რაიონი, ეგრეთ წოდებული, „ნაგვის ქალაქი" გამხდარიყო. ჩვენც, ჩვენის მხრივ, ამ პროექტის შესაძლო მაღალეფექტურობაზე, რასაკვირველია, ობიექტურად ვერ ვისაუბრებთ, რადგანაც ეს უკანასკნელი, საბოლოოდ, არ განხორციელებულა, თუმცა, ფაქტი ფაქტად რჩება, ნარჩენების მართვის პრობლემა დღემდე აქტუალურია არამარტო ჩვენს მუნიციპალიტეტში, არამედ ქვეყანის მასშტაბითაც. ნარჩენების მართვა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი, ნაკისრი ვალდებულებაა სახელმწიფოს მიერ განსახორციელებელი, რაც შესაბამისი რეფორმების გატარებითა და კანონმდებლობის დახვეწით მიიღწევა.

ეს წერილიც თემის ერთგვარი გაგრძელებაა, რომელშიც მყარი ნარჩენების

მართვაზე მოგითხრობთ. არასამთავრობო ორგანიზაციათა კონსორციუმი, რომელშიც შედის საქართველოს ბუნების მკვლევართა კავშირი „ორქისი", „საქართველოს მწვანეთა მოძრაობა", „ეკოლოგიური ცნობიერების ამაღლება და ნარჩენების მართვა" ახორციელებენ პროექტს – „დავასუფთაოთ საქართველო", სწორედ ამ ორგანიზაციის წარმომადგენლები სტუმრობდნენ ჩვენს მუნიციპალიტეტს, რომლებმაც შეხვედრაზე დასახულ ამოცანებზე ისაუბრეს. მსგავსი შეხვედრები ტარდება მთელი საქართველოს მასშტაბით, მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებთან, სადაც დეტალურად განიხილება ნარჩენებთან დაკავშირებული ვალდებულებები, ევროპული გამოცდილება, რეგიონებში საერთაშორისო პრაქტიკის დანერგვის პერსპექტივები, ნარჩენების მართვის საკანონმდებლო მოთხოვნები, საქართველოში არსებული სტიქიური ნაგავსაყრელების გავლენის შეფასება მიმდებარე ტერიტორიების ეკოსისტემების მდგომარეობაზე და ა.შ.

ხათუნა ჩიკვილაძე (გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორი, ნარჩენების მართვის ექსპერტი): ნარჩენების მართვა წარმოადგენს საქართველოს წინაშე მდგარ ეროვნული მნიშვნელობის გამოწვევას. უკანასკნელ ხანებში, აღნიშნული მიმართულებით არაერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნა გადადგმული. მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის საკითხების მოსაწესრიგებლად 2012 წელს შეიქმნა შ.პ.ს. „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია", 100% სახელმწიფო წილით, რომელიც მართვაში გადაეცა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს. კომპანიის მიზანია ნარჩენების მართვის ერთიანი სისტემის ჩამოყალიბება და მის მოქმედების არიალს წარმოადგენს საქართველოს რეგიონებში არსებული არასახიფათო მუნიციპალური ნარჩენების 53 მოქმედი ნაგავსაყრელის მართვა. კომპანია გეგმავს, პირველ რიგში, ამ ნაგავსაყრელების მოწესრიგებას, შემდგომში კი მათ ეტაპობრივ დახურვას და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი რეგიონული, არასახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელების მშენებლობას. რაც შეეხება ჩვენს პროექტს „დავასუფთავოთ საქართველო", შვედეთის მთავრობის ფინანსური უზრუნველყოფით ხორციელდება და მისი მიზანია საქართველოში ნარჩენების მართვის გაუმჯობესებისა და მოსახლეობის პასუხისმგებლობის გაზრდის გზით, გარემოს მდგრადობის გაუმჯობესება, ასევე, საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების მოთხოვნების აღსრულება, ნარჩენების მართვის საერთაშორისო სისტემისა და პრაქტიკის დანერგვით.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ 2017 წლის 31 დეკემბრამდე, ყველა მუნიციპალიტეტმა, უნდა მიიღოს მუნიციპალური ნარჩენების მართვის 5 წლიანი გეგმა, რომელის შესრულებასაც „ნარჩენების მართვის კოდექსი" ავალდებულებს. შესაძლებელია ასევე ნარჩენების მართვის გეგმა შემუშავდეს მოსაზღვრე მუნიციპალიტეტების მიერ ერთობლივად. იმ მნიშვნელოვანი ღონისძიებების დაგეგმვასთან ერთად, რაც გულისხმობს მუნიციპალიტეტის მიერ საკუთარ ადმინისტრაციულ საზღვრებში ნარჩენებით გარემოს დაბინძურების კონტროლს, ის ვალდებულია ნარჩენების მართვის საკითხებზე სპეციალური პროგრამებით აამაღლოს საზოგადოების ცნობიერება, გამოიყენოს ისეთი ელემენტები, როგორიცაა საინფორმაციო ბიულეტინები ან ელექტრონული გზავნილები, რომლებიც საზოგადოებას მიაწოდებენ ინფორმაციას დაგეგმვის პროცესისა და მისაღწევი შედეგების შესახებ. საჭიროა ასევე გეგმის შემუშავების პროცესის შესახებ მედიაში გაშუქებაც.

შეხვედრის დროს გავეცანით მეტად საინტერესო გრაფიკულ მონაცემს, რომელიც ნარჩენების მართვის საერთაშორისო გამოცდილებას ასახავდა. მოყვანილი იყო შვედეთის მაგალითი, სადაც მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების 50% მუშავდება, 49%-ის ინსინერაცია ხდება, ანუ ნარჩენების ენერგიად გარდაქმნა, ხოლო 1% კი – ნაგავსაყრელზე თავსდება. საქართველოში ეს პროცენტები, შეიძლება ითქვას, უპრეცენდენტოა, 99,9% ნარჩენებისა ნაგავსაყრელზე მიდის და მხოლოდ 0,03% მუშავდება. რა თქმა უნდა, შვედეთის მოდელთან „დაწევა-გასწრებას" საკმაო დრო დასჭირდება, თუმცა მკითხველიც დამეთანხმება ციფრები შემაშფოთებლად გამოიყურება, დროული რეაგირებაა საჭირო.

საუბარი შეეხო არკონტროლირებად ნაგავსაყრელებსაც. ისინი, მათი მრავალფეროვანი შემადგენლობისა და ადილმდებარეობის გამო, საფრთხეს უქმნიან ეკოლოგიურ მდგომარეობასა და მოსახლეობის ჯანმრთელობასაც.

ნუგზარ ბუაჩიძე (ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, გარემოს მონიტორინგის ექსპერტი)- ნარჩენებთან დაკავშირებული მთელი რიგი ეპიდემიოლოგიური პრობლემების გადასაჭრელად, საჭიროა ბუნებაში არსებული ნაგავსაყრელების სანიტარული და ეკოლოგიური მონიტორინგის ჩატარება, რაც გულისხმობს სრული სურათისა და ობიექტური ინფორმაციის მიღებას მათი ქიმიური და მიკრობიოლოგიური შემადგენლობის, აგრეთვე მათი მიმდებარე ტერიტორიების მდგომარეობის შესახებ. კვლევის შედეგების საფუძველზე დადგინდება თუ რამდენად ნეგატიურნი შეიძლენა აღმოჩნდნენ ისინი ადამიანის ჯანმრთელობისათვის. ყურადსაღებია, ასევე, ნაგავსაყრელებისა და მათი მიმდებარე ტერიტორიების დაბინძურების ხარისხი მძიმე ლითონებით. როგორც ცნობილია, ზოგიერთი მათგანი გამოირჩევა მაღალი ტოქსიკურობით, ამ ტიპის ნაგავსაყრელებიც ითვლებიან ადამიანისთვის მეტად საშიშად.

როგორც ხედავთ, პრობლემა მეტად თვალსაჩინოა, დასაფიქრებელი და გადაჭრის გზებიც სწრაფად მოსანახი. ამ პრობლემის მოგვარებაში, სახელმწიფოსთან ერთად, საზოგადოების ლომის წილიცაა. ვეცადოთ, ერთიანი ძალებით ხელი შევუწყოთ გარემოს, რათა ჩვენი მისდამი უდიერი დამოკიდებულებით ეკოლოგიური კატასტროფა არ მივიღოდ შედეგად.

თ.ახალკაცი

ებრაული ლოცვის შეგონება ქართველებსაც დიდად დაეხმარებოდა

ბრძენ ებრაელ ხალხს ასეთი ლოცვაც აქვს: ღმერთო, მომეცი უნარი გავარჩიო კეთილი ბოროტისგან და ძალა, რომ დავამარცხო ბოროტება.

უკეთესი რა უნდა თხოვო განგებას?

ღმერთო, ქართველებსაც აუხდინე ებრაული ლოცვა, რათა ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანაშიც ამოიძირკვოს ბოროტების თესლი.

დიდხანს ვფიქრობდი, ღირდა თუ არა ამ წერილის დაწერა, მაგრამ იმის გამო, რომ ჯერ არ გაცემულა პასუხი დიდი ილიას მიერ დასმულ ირონიულ კითხვაზე: „ჩვენისთანა ბედნიერი განა არის სადმე ერი?“ და დიდი აკაკის გულის სიღრმიდან სიმწრით ამონახეთქ ღრმად ჩასაფიქრებელ სიტყვებზე: „ფურთხის ღირსი ხარ შენ, საქართველო“, გადავწყვიტე კიდევ ერთხელ გამომეთქვა გულისტკივილი ჩემს სამშობლოში მიმდინარე პროცესების მიმართ.

წლევანდელი საპარლამენტო არჩევნების შედეგების წინასწარი მონაცემები დიდი ხანია ცნობილი იყო, მაგრამ საბოლოო შედეგების გამოქვეყნებას მაინც დაველოდე, თუმცა, ღრმად მწამდა, რომ მონაცემები არსებითად არ შეიცვლებოდა.

მე ჩემი ქვეყნის დამცავი კედლის ერთი აგური ვარ და ვიცი, რომ თითოეული აგურის დაშლამ შეიძლება ქვეყნის დანგრევა გამოიწვიოს. ამიტომაც მოთმინებით ველოდი არჩევნების შედეგებს, რომელსაც, გარკვეულწილად, უნდა გაეცა პასუხი დიდი ილიას კითხვაზე და აკაკის მწარე გამონათქვამზე.

პასუხი გაცემულია: ბოროტსა სძლია კეთილმა, მაგრამ სასწორის ერთ პინაზე საკმაოდ მძიმე და ძნელად დასაძლევი ღვარძლი აღმოჩნა, რაც არ გვაძლევს საშუალებას ბედნიერ და ფურთხჩამორეცხილ ერად წარმოვიდგინოთ თავი.

მე ძალიან არ მაწუხებს კითხვა, თუ ვინ ვის მისცა ხმა, რადგანაც სასწორის იმ პინამ დაძლია, რომელზეც ეროვნული ღირსება იყო დადებული. მე იმ ადამიანების გონებაშეზღუდულობა უფრო მტკენს გულს, რომლებსაც სახელმწიფოს განვითარების უმნიშვნელოვანეს საკითხებშიც კი არ სურთ მონაწილეობის მიღება. ასეთ ადამიანებს მოქალაქეობრივი ღირსება არ გააჩნიათ, ისინი კონსტიტუციურ უფლება-მოვალეობას არაფრად თვლიან და გაშვერილი ხელით კი დადიან სახელმწიფო დაწესებულებებში თავისი მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების მოთხოვნით და ათასნაირი მაქინაციებით ცდილობენ, რამე წაღლიტონ სახელმწიფოს.

ჩემი ასაკის კაცს, თითქოს, აღარაფერი უნდა აკვირვებდეს, მაგრამ მე მაინც მიკვირს იმ ადამიანთა ქცევა, რომლებსაც შეუძლიათ მეზობლის მიწვევაზე ყავის ან ალკოჰოლის სმაში დააღამონ, მაგრამ თავისი კონსტიტუციური ვალის მოხდაზე, არჩევნებში მონაწილეობის მიღების შესახებ, რეაგირებაც კი არ გააკეთონ, ასეთები ხომ საკმარისზე მეტი აღმოჩნდნენ. ისინი თავის პიროვნებას არ თვლიან სრულფასოვან ადამიანებად და ამბობენ: უჩემოდაც აირჩევენო...

ჩემი ახალგაზრდობის პერიოდში, სისხლის სამართლის კანონმდებლობაში, სასჯელის სახით, გათვალისწინებული იყო საარჩევნო ხმის უფლების ჩამორთმევა ხუთ წლამდე ვადით და ეს განაჩენი მორალური თვალსაზრისით არაფრით ჩამოუვარდებოდა თავისუფლების აღკვეთას და საპატიმრო ადგილებში სასჯელის მოხდას.

მებადება კითხვა: თუ მოქალაქეს არაფრად მიაჩნია სახელმწიფო ინტერესები, რა ვალდებულია სახელმწიფო ასეთების მიმართ გამოიჩინოს ზრუნვა?

არჩევნებამდე მოქალაქეები ერთმანეთს ეკითხებიან, თუ ვის ან რომელ ძალას აძლევს ხმას. ზეპირ პასუხთა უდიდესი ნაწილი სიცრუეა, რადგანაც მართალ პასუხს მოქალაქენი საარჩევნო კაბინებში აფიქსირებენ.

ფარული კენჭისყრა მე დემოკრატიულ პრონციპად არ მიმაჩნია, რადგანაც იგი საჯაროობის, გამჭვირვალობის და აზრის თავისუფლად გამოთქმის შეზღუდვა მგონია. თუ არჩევნებამდე მოქალაქეს შეუძლია ვინმესადმი მხარდამჭერ ღონისძიებებში მიიღოს სხვადასხვა სახით მონაწილეობა, ვითომც რატომ არ შეიძლება, რომ თავისი პოზიცია არჩევნებზეც ღიად დააფიქსიროს?

მეც ხშირად მეკითხებიან, ვის მივეცი ხმა. ხმის მიცემის საიდუმლოების წესს არ დავარღვევ, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ ჩემზე, როგორც ასაკოვან პენსიონერზე, არც ერთ პოლიტიკურ ძალას არ შეუძლია ზეგავლენა მოახდინოს, ღიად ვიტყვი, რომელ ძალას არ მივეცი და არც არასოდეს მივცემ ხმას.

მაშ ასე, ხმა არ მივეცი:

1. ძალას, რომელიც რევოლუციური ანუ ძალადობრივი გზით მოვიდა ხელისუფლებაში;

2. ძალას, რომლის ლიდერმაც ჩემი ქვეყნისა და ხალხის ინტერესები ფეხქვეშ გათელა და მიიღო სხვა ქვეყნის მოქალაქეობა;

3. ძალას, რომლის ლიდერიც ცდილობს, ძალმომრეობით ჩაიგდოს ხელში ძალაუფლება და ხელისუფლება;

4. ძალას, რომლის ლიდერიც ქვეყნის შიგნით თუ გარედან ცდილობს სახელმწიფოში წარმოქმნას დაპირისპირების კერები, ქაოსი;

5. ძალას, რომელიც ცდილობს მსოფლიოში სახელი გაუტეხოს ჩემს სამშობლოს, გააყალბოს სინამდვილე, გააბიაბრუოს ეროვნული, ისტორიული და კულტურული ღირებულებანი. დამამცირებელი სიტყვებით მოიხსენიოს წინათაობათა დამსახურებული ადამიანები, ეროვნულ ღირებულებებზე მაღლა დააყენოს უცხოური და თავსმოხვეული, ჩვენი ტრადიციებისათვის შეუფერებელი და მიუღებელი მიმდინარეობანი;

6. ძალას, რომელიც მედიასაშუალებებს იყენებს იმისთვის, რომ წარმოაჩინოს ქვეყანაში ჯერ კიდევ არსებული, ან მომხდარი მხოლოდ უარყოფითი მოვლენები, რითაც ხელი შეუწყოს საზოგადოების ნაწილის ხელისუფლებისადმი უარყოფითი დამოკიდებულებების ჩამოყალიბებას;

7. ძალას, რომელსაც შეუძლია გააბიაბრუოს მეორე მსოფლიო ომის მონაწილეთა დამსახურება, მოუხსნას მათ მცირედი შეღავათებიც კი, გაანადგუროს ომის მონაწილეთა საპატივცემულოდ აღმართული მემორიალები, სანაცვლოდ კი ძეგლები დაუდგას ველოსიპედს, „შლოპანცებს“ და ა.შ.

8. ძალას, რომელსაც შეუძლისა დაბრძენებული თაობა, 40 წლის ასაკს გადაცილების შემთხვევაში, მოისროლოს სამოღვაწეო ასპარეზიდან;

9. ძალას, რომელმაც ერთნაირი პენსია (თუ კომპენსაცია) დაუნიშნა 40 და 5 წლის სამუშაო სტაჟის მქონე მოქალაქეებს, ძალოვანი უწყებების თანამშრომლების საპენსიო ანაზღაურება გაუთანაბრა სამოქალაქო პენსიებს და ვერ განსაზღვრა და ვერ განასხვავა სიცოცხლისთვის საშიში და არასაშიში თანამდებობანი;

10. ძალას, რომელსაც არაფრად მიაჩნია კანონის უზენაესობა და უხეშად ხელჰყოფდა მოქალაქეთა სიცოცხლის და საკუთრების ხელშეუხებლობას, ფეხქვეშ თელავდა ადამიანთა ღირსებას და თავმოყვარეობას, გეგმავდა და ახორციელებდა მკვლელობებს, წამებას და ა.შ.

11. ძალას, რომელმაც, თავისი ლიდერის ქარაფშუტობის გამო, ვერ აიცილა რუსეთთან შეიარაღებული კონფლიქტი და ომის შედეგად დაკარგა ქვეყნის ტერიტორიის დიდი ნაწილი, დაღუპა ასეულობით სამხედრო მოსამსახურე და მშვიდობიანი მოქალაქე, გამოიწვია ასობით დასახლებული პუნქტის ნგრევა და აუნაზღაურებელი ეკონომიკური ზარალი;

12. ძალას, რომლის დღევანდელ ხელმძღვანელს ორჯერ ეკავა ქვეყანაში უმაღლესი თანამდებობა, მაგრამ არ მიიღო გადამჭრელი ზომები ბოროტების აღმოსაფხვრელად, ქვეყანაში სახელმწიფო წესრიგის დასამყარებლად, არ მიუჩინა სათანადო ადგილები მაღალი თანამდებობის პირებს, რომლებიც საზოგადოებიდან იზოლირებას იმსახურებდნენ, თავის დროზე შეეხმატკბილა, ახლა კი ამხელს მათ;

13. ძალას, რომელიც ხელისუფლებაში მოვიდა ძლიერი პიროვნების ქება-დიდებით, გაძღომის შემდეგ კი განუდგა და ახლა შხამის ფრქვევით ეწევა მის დისკრედიტაციას. იმის ნაცვლად, რომ მის უწყებაში აღმოჩენილი დარღვევები დაეგმო და ჭეშმარიტების დადგენაზე ეზრუნა, მკერდით გადაეფარა ეჭვმიტანილებს, ახლა კი ჩემამდეც არ მოვიდნენო და განერიდა აქაურობას;

14. ძალას, რომლის ხელმძღვანელიც აბუჩად იგდებს თანამოქალაქეებს და 100 წლის ასაკის მიღწევის შემდეგ პირდება პენსიას ორიათასი ლარის ოდენობით;

15. ძალას რომლის ხელმძღვანელიც ყოველგვარი სინდისის ქენჯნის გარეშე შეურაცხყოფას აყენებს ნებისმიერი თანამდებობის პირს, დაუსაბუთებლად უწოდებს მათ ათასგვარ დამნაშავეებს, თვითონ კი თავი, ჯიბე და კუდი შენიღბულად სხვადასხვა მიმდინარეობაში აქვს შეყოფილი და ცდილობს, საკუთარი თავი პატიოსან კაცად წარმოგვიდგინოს;

16. ძალას, რომლის ხელმძღვანელიც გარემოცული იყო თანამოქალაქეთა და სხვათა უსაზღვრო სიყვარულით და პატივისცემით, მაგრამ თავბრუ ისე დაეხვა წარმატებებისგან, რომ მოისურვა მისთვის შეუფერებელ სამყაროში შებიჯება. პირველკაცობა და გაუაზრებელი ცვლილებების განხორციელება. თითქოს მოქმედ ხელისუფლებას არ სურდა ქვეყნის განვითარება და წინსვლა;

17. ძალას, რომელმაც თავი ვერ შეიცნო, თავისი შესაძლებლობანი გამადიდებელი შუშით გაზომა, გადაჭარბებულად შეაფასა და კუს ნაბიჯით მორბენალს ეგონა, ცხენოსანს გაასწრებდა;

18. ძალას, რომლის ბაქა-ბუქა ხელმძღვანელები ვერ ბედავდნენ თავიანთი ლიდერის აზრის საწინააღმდეგო მოსაზრებების გამოთქმას, ახლა კი ტელეეკრანებთან კეკლუცობენ და ცდილობენ, თავი წარმოგვიდგინონ ქვეყნის განვითარების მედროშედ. თავის დროზე მათ შეეძლოთ თავიანთი ლიდერის თავაშვებულობის შეკავება, მაგრამ ბრძოლას მლიქვნელობა, ქვეშმძრომელობა და სკამების შენარჩუნება ამჯობინეს;

19. ძალას, რომელიც ზღუდავს და ლახავს მოქალაქეთა პოლიტიკურ უფლებებს, უმოწყალოდ სცემს მშვიდობიანი დემონსტრაციების მონაწილე თანამოქალაქეებს, საფრთხეს უქმნის მათ ჯანმრთელობას და სიცოცხლეს;

20. ძალას, რომელსაც ქვეყნის სასარგებლოდ ჯერ არაფერი გაუკეთებია, მაგრამ მოსახლეობას ჰპირდება უახლოეს მომავალში ცხოვრების სამოთხედ გადაქცევას. ასეთი ყოყლოჩინები მოსახლეობას ბრიყვებად თვლიან;

21. ძალას, რომელიც ოპოზიციურობით არის შენიღბული, სინამდვილეში კი მტრულადაა განწყობილი ქვეყნისა და მისი ხელმძღვანელობის მიმართ;

22. ძალას, რომელიც აკიდებული იყო ძირითად მიმდინარეობაზე, ფეხი მოიმაგრა, შემდეგ განუდგა მას და ოპოზიციაში გადაბარგდა.

23 24 25 და ა.შ.

არჩევნების შედეგებმა ცხადყო, რომ მოსახლეობის დიდ ნაწილს არ აქვს უნარი გაარჩიოს კეთილი ბოროტისგან და ეს ნაწილი მართლა შესალოც-დასალოცია, რათა განიდევნოს მათგან ავი ზრახვანი და დაისადგუროს მათში კაცთმოყვარეობამ, სამშობლოს სიყვარულმა და მისი ინტერესების სამსახურში ყოფნის სურვილმა.

საინტერესოა, იმ კატეგორიის მოქალაქეთაგან, რომლებიც არჩევნებში მონაწილეობას არ იღებენ, ქვეყნის განსაცდელში ჩავარდნის ჟამს რამდენი გამოვა მის დასაცავად და რამდენი მოქუსლავს საზღვარგარეთ ან სეირის საყურებლად მიიმალება ბუჩქნარში?

მე მზარავს ზღვარგადასული თავისუფლება, როცა ტვინგამორეცხილ მოქალაქეებს ჰგონიათ, რომ მათ ყველაფრის უფლება აქვთ. მიკვირს ასეთი თავისუფლების მოყვარულები რატომ არ დადიან საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში სრულიად გაშიშვლებულები.

არჩევნების თემის საკითხები ჯერჯერობით ამოწურული არ არის, ვფიქრობ, მალე დაიწყება მსჯელობა მის შესახებ და ვრცელი საუბარი სამომავლოდ გადავდოთ.

ჩემო თანამემამულენო, მალე ადგილობრივი ორგანოების არჩევნები გაიმართება. შენ სახელმწიფო გთვლის სრულყოფილ მოქალაქედ და გაძლევს უფლებას პირადი შეხედულებისამებრ აირჩიო ქვეყნის ხელმძღვანელობა. რატომ ამცირებ საკუთარ პიროვნებას და საკუთარ თავს თვლი არარაობად? შენი ხმა შეიძლება გადამწყვეტი აღმოჩნდეს უმნიშვნელოვანესი საკითხების განხილვისას, ამიტომაც შთაგონებით მიიღე მონაწილეობა არჩევნებში და წადი ხმის მისაცემად. ნეტავი ებრაული ლოცვა აგიხდეს და ღმერთმა მოგცეს უნარი გაარჩიო კეთილი ბოროტისგან.

ბიულეტენში სასურველი კანდიდატის შემოხაზვამდე კიდევ ერთხელ დაფიქრდი:

- რომელ ძალას აძლევ ხმას?

რევაზ გრიგალაშვილი

მცირე ბიზნესის განვითარების მეშვეობით სოციალური თანამშრომლობა ხაშურის მუნიციპალიტეტში

(დასასრული)

მაციო პლაკატებისა და ბუკლეტების დარიგებას, ასევე, მოსახლეობასთან უშუალო შეხვედრებს. შემდეგი ეტაპი ბიზნესიდეების შეგროვებაა, რომლებსაც კომისია განიხილავს და ყველაზე წარმატებული იდეის ავტორებს ვიწვევთ 2-დღიან ტრენინგებზე და ვასწავლით ბიზნესგეგმის წერას. ტრენინგების მიმდინარეობისას ბენეფიციარი უზრუნველყოფილია ტრანსპორტირებითა და კვებით. შემდეგ ბენეფიციარები ორი კვირის ვადაში წარმოადგენენ დაწერილ ბიზნესგეგმას, კომისია განიხილავს მათ და შეირჩევა სავარაუდო ბენეფიციარები, რომლებიც დაფინანსებას ექვემდებარებიან. ბოლო ეტაპი - უშუალოდ გასაუბრებაა, ჩვენ ვხვდებით კომისიის მიერ შერჩეულ პირებს, რათა მივიღოთ საბოლოო გადაწყვეტილება, ვესაუბრებით ბენეფიციარებს წარმოდგენილ ბიზნესგეგმაზე და მათ მიერ დაგეგმილ საქმიანობაზე.

პროეტის ფარგლებში დაფინანსების მიღების ერთ-ერთი მთავარი პირობაა ბენეფიციარების დარეგისტრირება ამა თუ ამ სამართლებრივ პირად - ყველანაირი ბიზნესსაქმიანობა უნდა ხორციელდებოდეს არსებული კანონმდებლობის ფარგლებში.

დაფინანსების შემდეგ იწყება მჭიდრო ურთიერთობა ბენეფიციარებთან, რომელიც არ შემოიფარგლება მხოლოდ მონიტორინგით. ჩვენი პროექტის ფარგლებში ბენეფიციარები უზრუნველყოფილნი არიან სხვადასხვა ტიპის საკვალიფიკაციო სწავლებით - მეფუტკრე, ვეტერინარი, კოსმეტოლოგი, სტილისტი, სამკერვალოს ტექნიკოსები, პროფესიონალი მკერავები, მარკეტინგის სპეციალისტი, სურსათის უსაფრთხოების, მესაქონლეობის დარგის სპეციალისტები და სხვა ცოდნას იღებენ მათი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ასოციაცია „ელკანას“ ჰყავს თითქმის ყველა დარგის სპეციალისტი, თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, ვიწვევთ გარე, დამოუკიდებელ ექსპერტებსაც.

ჩვენი მიზანი მხოლოდ გრანტის გადაცემა არაა, მთავარია, რომ დაფინანსებული ბიზნესი იყოს წარმატებული და ბენეფიციარებს ჩამოუყალიბდეთ ბიზნესმეწარმის აზროვნება და შეიძინონ შესაბამისი უნარ-ჩვევები - შეძლონ ყოველთვიური ანგარიშის მომზადება, პროდუქციის თვითღირებულების დათვლა, ფასწარმოქმნა, ბაზრის მოთხოვნების შესწავლა, შემოსავლების სამსახურთან ურთიერთობა და სხვ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ხარჯთაღრიცხვის წარმოების კულტურის ჩამოყალიბება, რათა მეწარმემ თვალსაჩინოდ დაინახოს ბიზნესი მომგებიანია თუ არა. ერთმა ქალბატონმა, რომელიც მესაქონლეობით იყო დაკავებული, გვითხრა, რომ წლიური შემოსავლის დაანგარიშების შემდეგ, აღმოაჩინა, რომ ქმარზე მეტი შემოსავალი შეჰქონდა ოჯახში. ასეთი შემთხვევები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქალბატონებისთვის, რადგან ზრდის მათ თვითშეფასებას და საკუთარი ღირსების შეგრძნებას.

მოსახლეობასთან ურთიერთობის პირველი ეტაპი ძალიან რთული იყო - დიდი ძალისხმევა დაგვჭირდა, რომ მათი ნდობა და კეთილგანწყობა დაგვემსახურებინა. ნდობის მოპოვებაში, ძალზე გვეხმარებიან უკვე დაფინანსებული ბენეფიციარები. ჩვენი ურთიერთობა ყოველთვის ღიაა, გვინდა ხალხმა გაიგოს, რა სარგებელი შეიძლება მოიტანოს ამ ტიპის პროექტებმა სოფელში და -იმ, როგორც დონორმა. ჩვენი მუშაობის შედეგია კეთილგანწყობილი მოსახლეობა, რომელსაც შესაბამისი უნარ-ჩვევები აქვს და ეკონომიურად უფრო ძლიერია,

ურთიერთობის დაწყებიდან კონკრეტულ ბენეფიციართან სისტემატიურ ურთიერთობა აქვს პროექტის წარმომადგენლებს. კონსულტაციები მუდმივად გრძელდება - ვეხმარებით, ვაკვალიანებთ; ეს ჩვეულებრივი ადამიანური ურთიერთობაა, რომელიც ამ წლებში ყალიბდება.“

ქალბატონ ნინო მძინარაშვილთან გასაუბრების შემდეგ ჩვენ შევხვდით უშუალოდ მოსახლეობას. პირველად ბატონ გიორგი გელაშვილს ვესტუმრეთ. იგი სოფელ ზემო ბროლოსანში ცხოვრობს, მიღებული გრანტით წისქვილი შეიძინა და ეს საქმე ოჯახის შემოსავლის წყაროდ აქცია. ბატონი გიორგი გელაშვილი ჩვენმა მოულოდნელმა სტუმრობამ გააკვირვა, წისქვილს სიმინდი დაამატა, ფქვილისგან თეთრად დაფერილი ტანსაცმელი დაიბერტყა და სახლში შეგვიპატიჟა, რათა მყუდრო გარემოში ესაუბრა იმ სიკეთეზე, რომელიც მას „ელკანასთან“ და BP-თან ურთიერთობამ მოუტანა:

„წისქვილის უქონლობა დიდ პრობლემას მიქმნიდა მეც და მეზობლებსაც, სხვა სოფელში დავდიოდით სიმინდის და ხორბლის დასაფქვავად. როდესაც „ელკანამ“ საინფორმაციო შეხვედრა ჩაატარა და გავიგე, რომ შემეძლო რაიმე სასარგებლო საქმე დამეწყო, გადავწყვიტე წისქვილი გამეკეთებინა - ეს მეც წამადგებოდა და სოფელსაც. დავწერე პროექტი, დამაფინანსეს 2000 ლარით – შენობა უკვე მქონდა, 1200 ლარით წისქვილი შევიძინე და ელექტროენერგია შევიყვანე. წელიწადია წისქვილს ვამუშავებ და ვფიქრობ, გაამართლა ჩემმა იდეამ; გარდა იმისა, რომ ჩემს მოსავალს აქვე ვფქვავ, კიდევ სამი სოფლის, ქვედა ბროლოსნის, ჩორჩანისა და კლდისწყაროს მოსახლეობა სარგებლობს ამ წისქვილით. რადგან მეტი შემოსავალი გამიჩნდა, გავაფართოვე მეურნეობაც, შევიძინე ძროხა, ღორები. ამჟამად, საშუალოდ 3-5 ტონა მარცვლეულს ვფქვავ დღეში.

ჩემი ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობა შეიცვალა, თანაც ვისწავლე, თუ როგორ შემიძლია მცირე დანახარჯებით შემოსავლების გაზრდა და სწორედ ამან მაფიქრებინა, რომ შეიძლება გაფართოებაზე ფიქრი - ავაშენე ახალი კაპიტალური შენობა წისქვილისათვის, შევიყვანე სამფაზიანი დენის წყარო, რაც ხარჯებსაც დაზოგავს და წისქვილის სიმძლავრეც გაიზრდება, მეტსაც დავფქვავ. თუ ვფქვავდი 1 საათში 100 კგ-ს, ახლა 150-200 კგ-ს დავფქვავ, რაც ორმაგი სარგებელია ჩემი ოჯახისთვისაც და სოფლის მოსახლეობისთვისაც“.

ახალუბანში თამაზ ნოზაძეს სწორედ მაშინ ვესტუმრეთ, როდესაც პომიდვრის ბაღში ამ სეზონზე ბოლო, გასუფთავების სამუშაოებს ატარებდა. წლევანდელ მოსავალზე და პროექტზე ვკითხეთ, მადლიერება არ დაუმალავს და იქვე, ბაღში შედგა ჩვენი საუბარი:

„თავდაპირველად, ჩვენი ურთიერთობა საინფორმაციო შეხვედრებით და ბუკლეტების გაცნობით დაიწყო. დავინტერესდით, ვისაუბრეთ ოჯახში და გადავწყვიტეთ სოფლის მეურნეობაზე გაგვეკეთებინა აქცენტი, კერძოდ, პომიდვრის კულტურა დაგვერგო 0,15 ჰა მიწის ფართობზე. რადგან ჩვენთან ნაკვეთები არ ირწყვება, აუცილებელი იყო წვეთოვანი სარწყავი სისტემის შეძენა, ამის გამოცდილება კი ჩვენ სოფლებში მანამდე არ იყო. პომიდვრის კულტურა იმიტომ ავირჩიეთ, რომ მოთხოვნადია ბაზარზე; მიუხედავად იმისა, რომ სეზონურია, მოგებას მაინც ტოვებს, თან საგრანტო თანხაშიც სრულად ვეტეოდით. დავწერეთ პროექტი, გავიარეთ კონსულტაციები. დავესწარით ტრენინგებს გორში, სადაც ვისწავლეთ, თუ როგორ გაგვეკეთებინა ბაზრის კვლევა, როგორ გაგვემართა ფინანსურად ჩვენი ბიზნესი, სად და რომელი თესლი შეგვეძინა. დაფინანსების შემდეგ შევიძინეთ თესლი, წვეთოვანი სარწყავი სისტემა, რომელიც 10 წლის განმავლობაში გამოიყენება და ჩვენს სარგებლობაში რჩება. ნაწილობრივ შემოვდობეთ ნაკვეთი.

წელს, პირველი საცდელი წელი იყო, მომავალ წელს, უფრო უკეთ გავმართავთ ჩვენს მეურნეობას; რაც მთავარია, პირველმა წელმა მოგვცა გამოცდილება. ძალიან დიდი სიკეთის მომტანია ეს პროექტი – შეძენილი ინვენტარი და მიღებული ცოდნა ბიზნესის დაწყებისა და განვითარების საშუალებას გაძლევს“.

პროექტის პრიორიტეტია, რაც შეიძლება მეტი ქალი ჩაერთოს ბიზნესშიც და საზოგადოებრივ საქმიანობაშიც. ქალბატონი, რომელსაც სოფელ მცხეთიჯვარში ვესტუმრეთ, შესაშური მონდომებითა და აქტიურობით გამოირჩევა. ფატმან მაჭარაშვილს ბავშვობიდან ხელსაქმე ემარჯვება, ქარგავს, ქსოვს, კერავს. ყოველთვის საკუთარ საქმეზე ოცნებობდა, რისი შესაძლებლობაც, გარკვეული მატერიალური თუ სხვა მიზეზების გამო, არ ეძლეოდა. მერე „ელკანა“ და BP შემოვიდა მის ცხოვრებაში. ახლა საქმე თავზესაყრელად აქვს - როგორც გვითხრეს, მთელი სამი სოფლის ფარდა და თეთრეული მისი შეკერილია, თავშეყრის ადგილებზეც მისი ნახელავით იწონებენ თავს. მის სამუშაო ოთახში იმდენი ფერადი ნაჭერია, რამდენი კლიენტიც ჰყავს. მართალია, ბევრი საქმე აქვს, მაგრამ ჩვენთან სასაუბროდ მაინც მოიცალა:

„გავრცელდა ინფორმაცია, რომ ჩვენს სოფელში BP-ის პროექტი ხორციელდებოდა. საინფორმაციო შეხვედრაზე პროექტის მობილიზატორმა, ნინო მძინარაშვილმა ჩაგვიტარა კონსულტაციები. შემოთავაზებული შესაძლებლობით თავიდანვე დავინტერესდი - ყოველთვის მინდოდა ჩემი საქმე მქონოდა გამომდინარე იქიდან, რომ კერვა ბავშვობიდან მიყვარდა და საგრანტო ბიზნესპროექტების მოთხოვნებში ეს საქმიანობა ჯდებოდა, გადავწყვიტე სამკერვალო გამეხსნა. პროექტში მონაწილეობის მსურველები საკმაოდ ბევრი იყო, თუმცა, იდეების განხორციელება ცოტამ თუ შეძლო. ჩემი ბიზნესპროექტი დამფინანსებლებისათვისაც საინტერესო აღმოჩნდა და დავფინანსდი 2013 წლის აპრილში “საქართველოს სკაუტური მოძრაობის ორგანიზაციის,” მიერ. სამკერვალო ჩემივე სახლის მეორე სართულზე მოვაწყე, დაფინანსებული 2000 ლარით შევიძინე ყველაფერი, რაც მჭირდებოდა მუშაობის საწყის ეტაპზე - საკერავი მანქანა, უთო, საუთოო მაგიდა, მაკრატლები, ძაფები, ქსოვილები. ბიზნესმა გამიმართლა - სიმართლე გითხრათ, ვერც ავუდივარ შეკვეთების მიღებას და თან ისეთი სტიმული მომეცა, რომ უკან დახევას აღარ ვაპირებ. ძირითადად თეთრეულზე და ფარდების კერვაზე ვმუშაობ, ყველაზე დიდი დაკვეთა ამაზეა. სოფელში უმეტესად ძველებური, არასტანდარტული საბნები და ბალიშებია, მათთვის ინდივიდუალურად ვკერავ თეთრეულს. ზამთრის პერიოდში ძირითადად ტანსაცმლის გადაკეთებაზე ვმუშაობ. იმდენად საინტერესო აღმოჩნდა BP-თან და „ელკანასთან“ თანამშრომლობა, რომ როდესაც გავიგე, პროექტის მეორე ეტაპი იწყებოდა, გადავწყვიტე, ჩემი საქმიანობის გაფართოების მიზნით, მეორე პროექტიც დამეწერა. აქაც გამიმართლა - დაფინანსებული თანხით ვიყიდე "ოვერლოკის მანქანა", და ორთქლის უთო, რამაც შრომაც შემიმსუბუქა და მეტი მომხმარებლის დაკმაყოფილებაც შევძელი. ძალიან დამეხმარა ტრენინგები და სპეციალიზებული კურსები, რომელმაც ბევრი რაღაც მასწავლა, როგორც ჩემი საქმიანობის, ასევე ბიზნესის მართვისა და განვითარების კუთხით; ამან საკუთარი თავის რწმენა დამიბრუნა, რომ ქალებსაც შეუძლია საზოგადოებაში და ბიზნესში საკუთარი ადგილის დამკვიდრება; ეს ნამდვილად დიდი თანადგომა და სტიმულია. დიდი მადლობა პროექტს იმ შანსისთვის, რომელიც მომცა!“

პროექტი "ადგილობრივი მოსახლეობის განვითარების ინიციატივა მცირე ბიზნესის განვითარების პროექტი 2” მომავალ წელსაც გაგრძელდება. წარმატებებს ვუსურვებთ დამწყებ ბიზნესმენებს, რომლებმაც პროექტის წყალობით საკუთარი ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა გაიუმჯობესეს და მუნიციპალიტეტის აღორძინებაშიც თავისი მოკრძალებული წვლილი შეიტანეს. თავის მხრივ, “ხაშურის მოამბე” თვალს მიადევნებს ამ პროექტის მიმდინარეობას და იმედი გვაქვს, ჩვენი მკითხველი კიდევ ბევრ საინტერესო ისტორიას გაეცნობა.

თამარ ჯავახიშვილი,
თინათინ ახალკაცი

საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალი - ერევანი - თბილისი - ხაშური

რაც მართალია,მართალია,მართლაც მაგრად ჟღერს,როდესაც მეზობელ სახელმწიფოში,დიდი საკონცერტო დარბაზის წინ,გამოკრულია უზარმაზარი აფიშა წარწერით: საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალი – ერევანი – თბილისი – ხაშური. ეს ბოლო წლებია,მეზობელ სახელმწიფოებში – თურქეთში, სომხეთში, აზერბაიჯანში – სადაც კი ბავშვთა მუსიკალური ფესტივალი იმართება, ხაშურის სამუსიკო



სკოლის აღსაზრდელები ყველგან მონაწილეობენ და, რაც მთავარია, სულაც არ არიან სტატისტის როლში. პირიქით, ყველა ფესტივალიდან ლაურეატის წოდებით და გამარჯვებულები ბრუნდებიან, არც ახლახანს, ერევანში გამართული პირველი საერთაშორისო კონკურსი და V საერთაშორისო ფესტივალი ყოფილა გამონაკლისი. ჩვენმა წარგზავნილებმა მეორე კლასელმა სოფიო ნოზაძემ და მე-5 კლასელმა ლიკა კალმახელიძემ (პედაგოგი ფატი სადაღაშვილი, კონცერტმეისტერი თამაზ აბრამიძე) პირდაპირ ფურორი მოახდინეს და სოფიო მეორე ადგილით, ლიკა კი – პირველი ადგილით დაბრუნდნენ სამშობლოში.

კონკურსზე სოფიომ ბომის „უწყვეტი მოძრაობა“ (ვირტუოზული პიესა) და რიდინგის კონცერტის I ნაწილი შეასრულა, ლიკამ კი – რუბენშტეინის „თითისტარი“ და აკოლაის კონცერტის I ნაწილი. იმდენად დიდი იყო ჩვენი მოსწავლეების მოწონება, რომ ლიკამ ფესტივალის გალა-კონცერტშიც მიიღო მონაწილეობა.

აღსანიშნავია, რომ ფესტივალის დღეებში ჩვენს წარგზავნილებთან მუდმივ კონტაქტში იყო სომხეთში საქართველოს სრულუფლებიანი ელჩი გიორგი საგანელიძე, რომელმაც უშუალოდ მიულოცა და სამახსოვრო სუვენირები გადასცა პატარა მევიოლინეებს.

არ შეიძლება არ აღინიშნოს პედაგოგ ფატი სადაღაშვილის მართლაც ნაყოფიერი მუშაობა. სწორედ მისი დამსახურებაა, რომ ჩვენი ბავშვები უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო კონკურსებზე ასეთ წარმატებას აღწევენ. ვირტუოზი პიანისტის და პედაგოგის თამაზ აბრამაშვილის გვერდით კი, რომელიც მათ კონცერტმეისტერობას უწევს, ისინი საოცრებებს ახდენენ. მადლობა მათ, მადლობა მთელი სამუსიკო სკოლის კოლექტივს, მადლობა მუნიციპალიტეტის გამგეობას, რომელმაც ბავშვების ფესტივალში მონაწილეობის ფინანსური მხარდაჭერა უზრუნველყო და მადლობა, რა თქმა უნდა, სოფიოს და ლიკას. გვჯერა მათი სახით ხაშურს ძალიან მაღალი დონის მუსიკოსები ეზრდებიან და გვწამს, ისინი ჩვენი ქალაქის სახელს უფრო შორს გაიტანენ.

გ. გოგოლაძე

ლომიძეების განვითარების ფონდის განცხადება

მაგთის, ჯეოსელის და ბილაინის აბონენტებმა შეგიძლიათ დარეკოთ ნომერზე 0901 901 988 და შეავსოთ ლომიძეების განვითარების ფონდი. თითო ზარის ღირებულებას – 1 ლარი.

გაზეთის „ხაშურის მოამბე“ რედაქციის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ლალი ტეფნაძეს ძმის

თამაზის

გარდაცვალების გამო.

წარმატება სომხეთში

სომხეთში, ქ.არტაშატში, 18-20 ნოემბერს ახალგაზრდებს შორის ჩატარდა რ.გოლეთსიანის სახ. მე-16-ე საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში. აღნიშნულ ტურნირზე 74 და 66 კილოგრამ წონით კატეგორიაში, საქართველოს ნაკრების ღირსებას იცავდნენ ხაშურის მუნიციპალიტეტის სასპორტო სკოლის აღზრდილები, თორნიკე კვინიკაძე და ალეკო ლომიძე.

I საპრიზო ადგილი 74 კგ წონით კატეგორიაში დაიკავა თორნიკე კვინიკაძემ, ხოლო III საპრიზო ადგილი 66 კგ კატეგორიაში მოიპოვა ალეკო ლომიძემ.

შეგახსენებთ რომ თორნიკე კვინიკაძე ტურნირზე წინა წლის ჩემპიონის სტატუსით იყო წარმოდგენილი.

წარმატებებს ვუსურვებთ ჩვენს სპორტსმენებს და მათ მწვრთნელებს მომავალ ასპარეზობებში.

გიორგი ნასყიდაშვილმა პირველობა არავის დაუთმო

ახლახანს, საგარეჯოში, ჭიდაობა სამბოში, კადეტებს შორის, საქართველოს ჩემპიონატი გაიმართა. პირველობა მსოფლიოს ორგზის ჩემპიონის მამუკა კურდღელაშვილის სახელს ატარებდა. მასში ხაშურის მუნიციპალიტეტის ნაკრებმა გუნდმაც მიიღო მონაწილეობა. გუნდი შეჯიბრისთვის საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა ბუხუტი ბუხრიკიძემ მოამზადა.

ჩემპიონატში ბრწყინვალედ იასპარეზა გიორგი ნასყიდაშვილმა, რომელმაც 60 კგ. კატეგორიაში პირველობა არავის დაუთმო.

მესამე საპრიზო ადგილი გიორგი მეხრიშვილმა და ზურაბ ხაჩიძემ მოიპოვეს (მწვრთნელები ბ. მეხრიშვილი და მ. ნოზაძე).

გიორგი ნასყიდაშვილი შეყვანილია საქართველოს კადეტთა ნაკრები გუნდის შემადგენლობაში და 12-15 დეკემბერს, კვიპროსში, მსოფლიო პირველობაზე მიიღებს მონაწილეობას. აღსანიშნავია, რომ ამ პირველობაზე მონაწილეობა გიორგის მუნიციპალიტეტის გამგეობამ დაუფინანსა.

იმედია, გიორგი კვიპროსიდანაც გამარჯვებული დაგვიბრუნდება!

სურათზე: გ. ნასყიდაშვილი და ბ. ბუხრიკიძე.

გიგი ბლიაძე ჩემპიონია

ამ დღეებში, თბილისში, ჩატარდა ზარიბეგ ბერიაშვილის სახელობის ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში ჭაბუკთა შორის. ტურნირის მიხედვით უნდა დაკომპლექტებულიყო ნაკრების შემადგენლობაც. ტურნირზე ბრწყინვალედ იასპარეზა გიგი ბლიაძემ (54კგ.), რომელმაც პირველი ადგილი დაიკავა. იგი შეყვანილია ნაკრების შემადგენლობაში და ამჟამად ემზადება ლერი ხაბელოვის საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობისთვის.

ჩვენ გვეიმედება გიგის და გვჯერა, იგი არც ამ ტურნირზე შეირცხვენს თავს.

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი გიორგი გოგალაძე,
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@.gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.